ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი # 16

2018 წლის 2 მაისს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით მეთექვსმეტე სხდომა. სხდომას ესწრებოდა 11 დელეგატი და ასევე ბ.-ნი რევაზ ბარბაქაძე.

დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა (მისასალმებელი სიტყვა)-რევაზ ბარბაქაძე;
2. განვლილი 15 სხდომის შეჯამება;
3. საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;
4. მსჯელობა სამოქმედო გეგმაზე;

2 მაისს გამართულ შეხვედრაზე წევრებმა იმსჯელეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ განიხილეს და შეაჯამეს განვლილი 15 შეხვედრი. სხდომა საინტერესოდ წარიმართა.

სხდომის მეორე ნაწილში წევრებმა დაასახელეს საბჭოს თავმჯდომარეობის მსურველი კანდიდატები.განსაზღვრეს ხმის მიცემის პროცედურები და მეთოდები. სხდომის მონაწილე დელეგატთა ხმათა უმრავლესობით აღნიშნულ თანამდებობაზე აირჩიეს ქ.-ნი ბელა კეთილაძე.
1. ბელა კეთილაძე - 5 ხმა;
2. ნუკრი რამიშვილი -2 ხმა;
3. სოფო კენჭოშვილი - 2 ხმა;
4. მალხაზ რაზმაძე - 1 ხმა;
5. ლეილა ჩიკვილაძე - 1 ხმა.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სამომავლო სამოქმედო გეგმაზე, განსაზღვრეს პრიორიტეტები. მიზნად დაისახეს საბჭოს ცნობადობის ზრდა საზოგადოებაში და უფრო აქტიური ჩართულობა და თანამონაწილეობა ქალაქის განვითარებაში..

შეხვედრის დასასრულს მოხდა სხდომის შეჯამება და შემდეგი შეხვედრის დღის წესრიგის განსაზღვრა. ასევე რევაზ ბარბაქაძემ მონაწილეებს მადლობა გადაუხადა აქტიური მოღვაწეობისათვის და წარმატებები უსურვა.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 02.05.2018 წ.